

**სახაზინო სამსახურის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**
**საქართველოს 2009 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2009 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 1 363 037.8 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 191 959.6 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 23 605.2 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებულია 110 878.7 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 36 594.3 ათასი ლარი.

2009 წლის იანვარ-მარტში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (1 191 959.6 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (1 172 472.1 ათასი ლარი) 101.7%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 087 291.6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 099 636.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 101.1%;

– გრანტების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 34 215.5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 37 497.4 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი – 3 564.0 ათასი ლარი;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 11 216.8 ათასი ლარი;

– გასულ წელს შეცდომით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება – 2.4 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 21 497.4 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1 221.3 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 3.3 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 131.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 5.5 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხულონის კომპონენტი)” – 347.1 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 371.3 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 363.0 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიანი ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდეზზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 0.3 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების” საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 50 965.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 54 825.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 107.6%.

2009 წლის იანვარ-მარტში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (23 605.2 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (22 440.2 ათასი ლარი) 105.2%.

„ფინანსური აქტივების კლებით” მიღებული შემოსულობების მოცულობამ (110 878.7 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (108 877.9 ათასი ლარი) 101.8%.

„ვალდებულებების” ზრდით მიღებული შემოსულობების (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მოცულობამ შეადგინა – 36 594.3 ათასი ლარი, მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 22 654.4 ათასი ლარი;

– (IDA) რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 10 568.0 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” რეტროაქტიულ დაფინანსებას.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 72.8 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 34.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 2.1 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 391.1 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 275.2 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 98.0 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 1 603.3 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 168.1 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 726.4 ათასი ლარი, რომელთა ექვივალენტი უცხოური ვალუტა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 29 542.8 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 3 315.2 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს

ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვლის №66 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი საინვესტიციო პროექტები: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 13.0 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 127.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 9.0 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 6 748.0 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 5 817.3 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 12 415.2 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” კრედიტი – 1 097.6 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში ღონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში მარტის თვეში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 13 პროექტზე, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 40 744.2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2009 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 26 401.5 ათასი ლარი. 46 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეძველი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2009 წლის იანვარ-მარტში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 1 004.1 ათასი ლარი.

წინა წლების გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 5 932.8 ათასი ლარი.

ნაშთის ცვლილება

2009 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 753 615.5 ათასი ლარი, მ.შ: თავისუფალი ნაშთი – 708 016.6 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში გასულ წელს ჩარიცხული თანხები – 4 133.6 ათასი ლარი, გასულ წელს ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში მობრუნებული თანხები – 560.0 ათასი ლარი, აკრედიტივით

უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 39 865.3 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 1 040.0 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

2009 წლის 1 აპრილისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 652 624.7 ათასი ლარი, აქედან თავისუფალი ნაშთი – 604 326.1 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში გასულ და მიმდინარე წელს ჩარიცხული თანხები – 8 890.6 ათასი ლარი, გასულ წელს ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში მობრუნებული თანხები – 559.9 ათასი ლარი, (IDA) რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 10 568.0 ათასი ლარი, აკრედიტივით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 28 221.9 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 58.2 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 100 990.8 ათასი ლარი.

2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 532.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის

გადასახდელები

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 9 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 567 543.6 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 1 516 505.9 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 51 037.7 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 1 512 450.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 470 019.6 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 1 421 157.2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 48 862.3 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 97.2%, ხოლო გეგმის 93.8%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2009 წლის იანვარ-მარტის მთლიან ხარჯებში შეადგინა 96.7%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 3.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ,

ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 235 886.2 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 229 427.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 224 052.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 95%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 196 981.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 186 858.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 168 107.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90%-ს და კვარტალური გეგმის – 85.3%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 25 325.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 25 325.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 25 325.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და კვარტალური გეგმის – 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 13 387.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (13 387.7 ათასი ლარი) და საგეგმო მაჩვენებლის (13 387.7 ათასი ლარი) – 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 11 937.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (11 937.8 ათასი ლარი) და გეგმიური მაჩვენებლის (11 937.8 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 75 209.4 ათასი ლარი, იანვარ-მარტში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 72 401.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 69 596.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.1%-ს და კვარტალური გეგმის 92.5%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 162 950.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 159 901.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (159 942.6 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის (162 950.8 ათასი ლარი) 98.1%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2009 წლის იანვარ-მარტში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 153 628.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (153 633.4 ათასი ლარი) 95%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2009 წლის იანვარ-მარტში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 334 936.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (337 460.1 ათასი ლარი) 99.3%-ს და პირველი კვარტლის საგეგმო პარამეტრის (342 188.2 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 332 637.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99%-ია.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განესაზღვრა 271 908.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 270 345.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.4%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 200 024.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (200 179.1 ათასი ლარი) და გეგმის (200 179.1 ათასი ლარი) 99.9%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 61 150.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 56 260.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 92% და ვალდებულების (56 889.8 ათასი ლარი) 98.9%-ია. ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 16 806.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 16 154.3 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (16 806.0 ათასი ლარი) 96.1%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 146 837.5 ათასი ლარით, იანვარ-მარტში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 140 544.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 137 072.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.5%-ს და გეგმის 93.3%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 84 010.5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 85 199.0 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 85 737.0 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების 98.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 98%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 74 111.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (74 128.0 ათასი ლარი) და საგეგმო მაჩვენებლის (74 128.0 ათასი ლარი) 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 148 129.5 ათასი ლარის ასივნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 131 337.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 122 082.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93%-ს და გეგმის 82.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 21 392.3 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 20 584.0 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (17 169.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 83.4% და საგეგმო მაჩვენებლის – 80.3%; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 33 701.5 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 33 701.5 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (31 802.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის – 94.4%, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 63 226.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 59 433.2 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (58 793.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 93%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 43 097.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 38 662.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 38 662.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100.0%-ს და გეგმის – 89.7%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 190 937.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 190 490.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 190 281.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის – 99.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 11 736.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (11 736.4 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 178 545.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (178 754.5 ათასი ლარი) 99.9%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებელს აღემატებოდა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „სოციალური ინვესტიციების იმ პროექტი“ (კოდი 25 06 02 03, მუხლი „სუბსიდიები“); „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“ (კოდი 23 06 06 01, მუხლი „სუბსიდიები“); „საწარმოთა განვითარების პროექტი“ (კოდი 23 06 06 03, მუხლი „სუბსიდიები“) – სულ გადახრამ შეადგინა 0.2 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გზების რეაბილიტაციის პროექტის“ (კოდი 25 03 02 01 01 მუხლი „სუბსიდიები“) – 0.1 ათასი ლარი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობათა გაზრდა 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პროცესში (UNDP)“ (კოდი 06 04 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 46.9 ათასი ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროექტი „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა (UNDP)“ (კოდი 08 02 01 მუხლი „სხვა ხარჯები“) – 38.8 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტი: „მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – ი პროექტი“ (კოდი 26 13 01 მუხლი „სუბსიდიები“) – 42.1 ათასი ლარი; ენერგეტიკის სამინისტროს პროექტი: „ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა“ (კოდი 36 04 06, მუხლი „ფინანსური აქტივები“) – 0.2 ათასი ლარი; „სახალხო დამცველის ოფისის დახმარების პროექტი“ (UNDP)“ (კოდი 40 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 15.2 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული პროექტების ანგარშვებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუგვლებლად.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2009 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 1 241 075.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 263 613.8 ათასი ლარი, რაც კვარტალური გეგმიური მაჩვენებელის (280 544.7 ათასი ლარი) 94%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 53 780.6

ათასი ლარი, რაც გეგმის (63 720.5 ათასი ლარი) 84.4% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 20.4%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 25 417.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (25 425.5 ათასი ლარი) 100% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 9.6%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 169 382.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (173 944.7 ათასი ლარი) 97.4%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 3 431.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 508.2 ათასი ლარი) 97.8%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 197 721.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 190 614.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 15.4%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 252 727.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 220 532.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 17.8%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 169 134.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (181 855.8 ათასი ლარი) 93%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 22 154.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (29 509.0 ათასი ლარი) 75.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (13 947.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (16 268.6 ათასი ლარი) 85.7%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 15 271.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 065.5 ათასი ლარი) 60.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 106 095.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 91 901.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (14 576.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (15 004.4 ათასი ლარი) 97.2%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (34 643.9 ათასი ლარი), გეგმის (36 893.7 ათასი ლარი) 93.9% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 6 171.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 4 953.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 80.3%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 962.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 013.5 ათასი ლარი) 47.8%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 4 158.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 990.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 33 821.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (27 761.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 82.1%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (2 606.5 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (4 568.4 ათასი ლარი) 57.1%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 5 554.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 631.1 ათასი ლარი) 72.8%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 5 479.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 258.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 77.7%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 276.5 ათასი ლარის

გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 158.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.8%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრული იყო 2 854.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (1 892.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 66.3%.

ჯანმრთელობის დაცვის საზით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 69 267.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 60 835.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 4.9%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 7 360.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (5 400.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 73.4%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (21 091.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (23 527.9 ათასი ლარი) 89.6%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 5 645.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (8 645.0 ათასი ლარი) 65.3%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 28 445.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (29 453.9 ათასი ლარი) 96.6%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 23 442.9 ათასი ლარით, რაც 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის – 26 184.6 ათასი ლარის 89.5%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (5 403.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (5 474.5 ათასი ლარი) 98.7%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (6 355.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (6 792.2 ათასი ლარი) 93.6%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 6 375.6 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (5 785.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 90.7%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 4 947.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 554.0 ათასი ლარი) 75.5%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 97 025.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 93 685.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.6% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.6%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 74 325.8 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (74 499.3 ათასი ლარი) 99.7%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 11 720.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 722.0 ათასი ლარი) 92.1%-ია.

სოციალური დაცვის საზით 2009 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 297 761.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 291 491.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 23.5%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 1 490.4 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (1 964.9 ათასი ლარი) 75.9%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 212 792.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 212 447.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.8%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 44 288.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (45 421.7 ათასი ლარი) 97.5%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 21 552.4 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (22 996.7 ათასი ლარი) 93.7%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 6 370.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 240.1 ათასი ლარი) 68.9%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2009 წლის პირველი კვარტლის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 20 002.8 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 50 შემთხვევაში შეადგინა 20 002.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19 182.4 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებული თანხების მოცულობამ 2009 წლის I აპრილის მდგომარეობით შეადგინა 820.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2009 წლის პირველი კვარტლის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 32 183.8 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 27 შემთხვევაში შეადგინა 32 183.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 29 864.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2009 წლის პირველი აპრილისათვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 319.2 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით (საშინაო – სხვა კრედიტორული დავალიანებები) გამოყოფილი იქნა 171 201.2 ათასი ლარის ასიგნება. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად განისაზღვრა 169 267.0 ათასი ლარის ასიგნება, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან – 985.0 ათასი ლარი (აქედან: იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 32.7 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს 925.5 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებული დარჩა 26.8 ათასი ლარი); „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა გაწეული ხარჯი (სულ – 949.2 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარავად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად

მიიმართა 3 781.4 ათასი ლარი (გეგმა – 4 130.0 ათასი ლარი); იუსტიციის სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 32.2 ათასი ლარი (გეგმა – 32.7 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 36.0 ათასი ლარი (გეგმა – 197.4 ათასი ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 59.9 ათასი ლარი (გეგმა – 59.9 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კვლევების პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 4.0 ათასი ლარი (გეგმა – 4.0 ათასი ლარი); განათლების რესურს-ცენტრების დასაფინანსებლად მიიმართა – 0.6 ათასი ლარი (გეგმა – 0.6 ათასი ლარი); საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 2.2 ათასი ლარი (გეგმა – 2.2 ათასი ლარი); ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე გამოეყო – 36.4 ათასი ლარი (გეგმა – 36.4 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. – სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა 18.5 ათასი ლარი (გეგმა – 19.8 ათასი ლარი); გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 6.1 ათასი ლარი (გეგმა – 6.1 ათასი ლარი); ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დასაფინანსებლად – 6.9 ათასი ლარი (გეგმა – 6.9 ათასი ლარი); პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 472.9 ათასი ლარი (გეგმა – 472.9 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასაფინანსებლად – 14.5 ათასი ლარი (გეგმა – 20.1 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროში: სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 11.3 ათასი ლარი (გეგმა – 11.3 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 137.0 ათასი ლარი (გეგმა – 137.0 ათასი ლარი); ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიიმართა 165 000.0 ათასი ლარი (გეგმა – 165 000.0 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 925.5 ათასი ლარი (გეგმა – 925.5 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდზე.

2009 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.